

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1. პროდუქტის იდენტიფიკატორი

ნივთიერების იდენტიფიკაცია: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

ვაშლის ნაყოფკამიას (Cydia pomonella) ტექნიკური ფერომონი

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

ეს ტექნიკური პროდუქტი წარმოადგენს 64:30:6 თანაფარდობის E8E10-დოდეკადიენ-1-ოლის, 1-დოდეკანოლისა და 1-ტეტრადეკანოლის ნარევს.

მნიშვნელოვანი მითითება

ეს პროდუქტი შეიცავს ნარევს.

აღნიშნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი გამოიყენება მხოლოდ კონტეინერის დაზიანებისა და ნარევის გამოთავისუფლების შემთხვევაში.

შემდგომში მოცემული ყველა ინფორმაცია ეხება ნარევის შემადგენლობას, პროდუქტი არის გამოსაყენებლად უსაფრთხო. პროდუქტში ქიმიური ნივთიერებების მცირე რაოდენობის გამო, კონტეინერის დაზიანების შემთხვევაში, ნარევის გადმოდვრა ნაკლებად სავარაუდოა.

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

„შინ-ეტსუ ქემიკალ კო ლტდ“ ტოკო, იაპონია

ორგანული ქიმიური ნივთიერებების განყოფილება მაღალი სისუფთავის ქიმიური ნივთიერებების დეპარტამენტი Shin-Etsu Chemical Co., Ltd.

Organic Chemicals Division Fine Chemicals Department

6-1 Ohtemachi 2-chome, Chiyoda-ku, Tokyo 100-0004, Japan

ტელ: 81-3-3246-5280 ფაქსი: 81-3-3246-5371

1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

გადაუდებელი დახმარების ნომერი : 81-3-3246-5280 (ტოკო, იაპონია)(9:00~18:00)

კომპანიის ელექტრონული რესურსის ბმული (URL) : <http://www.shinetsu.co.jp>

ელ-ფოსტა: pheromone@shinetsu.jp

2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების კლასიფიკაცია

გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (GHS) კლასიფიკაცია

ფიზიკური საფრთხეები

აალებადი სითხე: კატეგორია 4

თვითრეაქტიული ნივთიერებები: არ კლასიფიცირდება

პიროფორული სითხეები: არ კლასიფიცირდება

თვითგახურებადი ქიმიური პროდუქცია: არ კლასიფიცირდება

ნივთიერებები, რომლებიც წყალთან შეხებისას გამოყოფს ადვილად აალებად აირებს: არ კლასიფიცირდება

დამქანგავი სითხე: არ კლასიფიცირდება

ჯანმრთელობის საფრთხეები

მწვავე ტოქსიკურობა (ნისლი): კატეგორია 4

კანის გაღიზიანება: კატეგორია 2

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

საცნობარო ნომერი 16-2140(2)

გამოცემის თარიღი: 25.07.2016

გვერდი 2/9

ხელახლა გამოცემის თარიღი: 24.08.2016

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

თვალის გაღიზიანება: კატეგორია 2B

რესპირატორული სენსიბილიზაცია: შეუძლებელია

კანის სენსიბილიზაცია: შეუძლებელია

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა: არ კლასიფიცირდება

კანცეროგენული მოქმედება: შეუძლებელია

რეპროდუქციული ტოქსიკურობა: შეუძლებელია

სპეციფიკური მზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა ერთჯერადი ექსპოზიცია: შეუძლებელია

სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა განმეორებითი ექსპოზიცია: შეუძლებელია

ასპირაციის საშიშროება: შეუძლებელია

ეკოლოგიური საფრთხეები:

წყლის გარემოს მიმართ მწვავე საშიშროება: კატეგორიის გარეშე ან კატეგორია 2

წყლის გარემოს მიმართ ქრონიკული საშიშროება: შეუძლებელია

2.2 ეტიკეტის ელემენტები

პიქტოგრამები ან სიმბოლოები



სასიგნალო სიტყვა: „გაფრთხილება“

ინფორმაცია საშიშროების შესახებ:

- H227: აალებადი სითხე
- H332: მავნეა ჩასუნთქვისას (ნისლი)
- H315: კანის გაღიზიანება
- H320: თვალის გაღიზიანება
- H400: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის

გამაფრთხილებელი ფრაზები:

- P210: მოარიდეთ სითბოს / ნაკერწყალს / ღია ალს / აალების წყაროებს, როგორცაა მაღალი ტემპერატურა.- მოწვევა აკრძალულია
 - P261: არ შეისუნთქოთ ნისლი/ორთქლი/შხეფები/აირი/კვამლი/მტვრი.
 - P264: მოხმარების შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები.
 - P271: გამოიყენეთ მხოლოდ კარგად განიავებად ან ღია სივრცეში.
 - P273: პროდუქტი არ უნდა მოხვდეს გარემოში.
 - P280: გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანი/დამცავი სპეცტანსაცმელი/თვალის დამცავი/სახის დამცავი საშუალებები.
 - P302+P352: კანზე მოხვედრისას: ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის წყლით და საპნით.
 - P304 + P340: ჩასუნთქვის შემთხვევაში: დაზარაებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე და ამყოფეთ სიმშვიდეში და სუნთქვისთვის კომფორტულ პოზიციაში.
 - P305 + P351 + P338: თვალში მოხვედრისას: რამდენიმე წუთის განმავლობაში გულდასმით გამოირეცხეთ წყლით. მოიხსენით კონტაქტური ლინზები,თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია.
 - P312: თუ თავს ცუდად გრძნობთ მიმართეთ ექიმს.
 - P332+P313: თუ კანის გაღიზიანება გამოვლინდა: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება
 - P337+P313: თუ თვალის გაღიზიანება გრძელდება, დიაგნოზისთვის მიმართეთ ექიმს.
 - P362+P364: გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გარეცხეთ ხელმეორედ გამოყენებამდე.
- გარემოს დაბინძურების შესახებ გამაფრთხილებელი ფრაზები:
- P273: გარდაუვალი აუცილებლობის გარეშე პროდუქტი არ უნდა მოხვდეს გარემოში.
 - P391: შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

საცნობარო ნომერი 16-2140(2)

გამოცემის თარიღი: 25.07.2016

გვერდი 3/9

ხელახლა გამოცემის თარიღი: 24.08.2016

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

P501: შიგთავსის/ტარის უტილიზაცია განახორციელეთ ადგილობრივი რეგულაციების/ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

ნარევის აღწერა:

ვაშლის ნაყოფჭამიას (Cydia pomonella) ტექნიკური ფერომონი
 ეს ტექნიკური პროდუქტი წარმოადგენს 64:30:6 თანაფარდობის E8E10-დოდეკადიენ-1-ოლის, 1-დოდეკანოლის და 1-ტეტრადეკანოლის ნარევს.
 საშიში ინგრედიენტები:
 შედგენილობა/ინგრედიენტები:

საიდენტიფიკაციო სახელი	ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ		
	E8,E10-დოდეკადიენ-1-ოლი	1-დოდეკანოლი	1-ტეტრადეკანოლი
სინონიმები	Codlemone, Codlure	ლაურილის სპირტი	მირისტილის სპირტი
ქიმიური ფორმულა	C ₁₂ H ₂₂ O	C ₁₂ H ₂₆ O	C ₁₄ H ₃₀ O
მოლეკულური მასა	182	186	214
CAS ნომერი	33956-49-9	112-53-8	112-72-1
TSCA ნომერი (აშშ) (ტოქსიკური ნივთიერების კონტროლის აქტი)	33956-49-9	112-53-8	112-72-1
EINECS ნომერი (EU) (არსებული კომერციული ქიმიური ნივთიერებების ევროპული ნუსხა)	251-761-2	203-982-0	204-000-3
მინარევი	მონაცემი არ არის	მონაცემი არ არის	მონაცემი არ არის
კონცენტრაცია / დიაპაზონი (% wt)	55 - 70	26 - 36	5 - 7

დამატებითი ინფორმაცია: არ არის.

4. პირველადი დახმარების ზომები

ზოგადი ინფორმაცია
 ჩასუნთქვის შემდეგ: გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე; სიმპტომების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. თავრუსხვევის ან ცუდად ყოფნის დროს, მიმართეთ ექიმს. ლებინების დროს დაზარალებულის სახე გვერდულად მიუბრუნეთ ამოსასუნთქად. თუ სუნთქვა სუსტი, არარეგულარული ან შეჩერებულია, გაუხსენით სასუნთქი გზები, სასწრაფოდ ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა და დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

კანზე მოხვედრის შემდეგ
 დაუყოვნებლივ ჩამოირეცხეთ წყლითა და საპნით და საფუძვლიანად დაიბანეთ. თუ კანის გაღიზიანება გრძელდება, მიმართეთ ექიმს. გაიხადეთ ყველა დაბინძურებული ტანსაცმელი. დაბინძურებული ადგილები გარეცხეთ საპნით ან რბილი სარეცხი საშუალებებით და დიდი რაოდენობით წყლით.

თვალში მოხვედრის შემდეგ
 ფრთხილად გამოირეცხეთ დაზარალებული თვალები, მათ შორის ქუთუთოების ქვეშ, სუფთა წყლით მინიმუმ 15 წუთის განმავლობაში. ამის პროცედურის ეფექტურად ჩასატარებლად, თითებზე გადაწიეთ ქუთუთოები და ამოძრავეთ თვალის კაკალი. რაც შეიძლება მალე უზრუნველყავით დაზარალებულის უახლოეს სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირება, ექიმის მიერ გამოკვლევების ჩასატარებლად და მკურნალობის დასანიშნად. თუ კონტაქტური ლინზეხს ატარებთ, მოიხსენით ისინი და თვალები გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15 წუთის განმავლობაში.

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

ჩაყლაპვის შემდეგ

თუ მინიმალურ რაოდენობაზე მეტია აქვს გადაყლაპული და თუ დაზარალებული გონებაზეა, გამოურეცხეთ პირის ღრუ წყლით და დააღვინეთ 250 მლ თბილი წყალი. უგონო მდომარეობაში მყოფ დაზარალებულს პირში არაფერი ჩაუდოთ. დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

შესაძლო მწვავე ან დაგვიანებული სიმპტომები:

თვალში ან კანზე მოხვედრისას: სიწითლე, ტკივილი, ქიმიური დაზიანება.

ჩასუნთქვა: თავბრუსხვევა, ძილიანობა, თავის ტკივილი, ღებინება, სისუსტის შეგრძნება.

უსაფრთხოების ზომები პირველადი დახმარების აღმომჩენი პირისთვის:

გამოიყენეთ ავტონომიური სასუნთქი აპარატები, რესპირატორი ქიმიური კარტრიჯით ორგანული აირებისთვის, ხელთათმანი ან სხვა დამცავი მოწყობილობები საჭიროების შემთხვევაში.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ამ პროდუქტის მაღალი კონცენტრაციის ორთქლის ან შხვების აალებამ, ფეთქებადი დაშლის შედეგად შეიძლება გამოიწვიოს აფეთქება. ატმოსფეროში ჟანგბადის მაღალი კონცენტრაციის დროს მას აქვს წვის ან აფეთქების უნარი.

ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები: CO2, ხანძრის ჩამქრობი ფხვნილი ან ალკოჰოლმედეგი ქაფი.

ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები: დიდი მოცულობის წყლის ჭავლი.

ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

სიცხის ან ალის ზემოქმედებით პროდუქტი იშლება და შეიძლება წარმოქმნას ტოქსიკური გამაღიზიანებელი აირები. ამ მასალით, მისი წვის პროდუქტებით ან გამოწვით აირებით გამოწვეული განსაკუთრებული საფრთხეები: ნახშირბადის მონოქსიდი და ნახშირორჟანგი.

ცეცხლის ჩაქრობის სპეციფიკური მეთოდი:

ცეცხლი ჩააქრეთ ქარის მიმართულების საწინააღმდეგო მხრიდან. წყლის ჭავლს შეუძლია ხანძრის კერის გააფართოვება, გამოყენეთ შესაბამისი ხანძრის ჩაქრობის საშუალებები. კონტეინერები გადაიტანეთ ხანძრის კერიდან, თუ ეს უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. გაგრილეთ დიდი რაოდენობის წყლის შესხურებით, თუ ეს შეუძლებელია. არ გამოიყენოთ ძლიერი წყლის ჭავლი.

რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

ხანძრის ჩასაქრობის დროს გამოიყენეთ ავტონომიური სასუნთქი აპარატები, რესპირატორი ორგანული აირებისგან დამცავი ქიმიური კარტრიჯით, დამცავი ხელთათმანი, დამცავი ჩექმები ან სხვა დამცავი აღჭურვილობა.

დაატებითი ინფორმაცია: ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყალი შეაგროვეთ ცალკე. ის არ უნდა მოხვდეს საკანალიზაციო მილებში.

6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

გაჟონვის ზონა შემოსაზღვრეთ თოკით და აკრძალეთ ტერიტორიაზე შესვლა, უფლებამოსილი პირების გარდა.

მითითება საფრთხეების თავიდან ასაცილებლად:

შენობაში დაღვრის შემთხვევაში, დასუფთავების სამუშაოების დასრულებამდე აუცილებელია სათანადო განიავება. გაიკეთეთ ავტონომიური სასუნთქი აპარატები, რესპირატორი ორგანული აირებისგან დამცავი ქიმიური კარტრიჯით, დამცავი ხელთათმანი, დამცავი სათვალე, ჩაიცვით დამცავი ჩექმები ან სხვა დამცავი სამოსი სამუშაო გარემო არსებულ კონცენტრირებულ ორთქლის პირობებში მუშაობისას.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

საცნობარო ნომერი 16-2140(2)

გამოცემის თარიღი: 25.07.2016

გვერდი 5/9

ხელახლა გამოცემის თარიღი: 24.08.2016

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები:

არ დაუშვათ სადრენაჟო სისტემაში ან კანალიზაციაში, ზედაპირული ან გრუნტის წყლებში შეღწევა.

გაგრძელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

გამოიყენეთ სითხის დამჭერი/შემკვრელი მასალა (ქვიშა, დიატომიტი, მჟავა შემკვრელები, უნივერსალური შემკვრელები, ნახერხი). დაბინძურებული მასალის, როგორც ნარჩენების უტილიზაცია მოახდინეთ 13 პარაგრაფის მიხედვით. უზრუნველყოს სათანადო განთავსება. შემოსაზღვრეთ დაბინძურებული ადგილი. შენობაში დაღვრის შემდეგ დასუფთავების სამუშაოების დასრულებამდე უზრუნველყავით სათანადო განთავსება. გაიკეთეთ ავტონომიური სასუნთქი აპარატები, რესპირატორი ორგანული აირებისგან დამცავი ქიმიური კარტიჯით, დამცავი ხელთათმანი, დამცავი სათვალე, ჩაიცვით დამცავი ჩექმები ან სხვა დამცავი საშუალებები.

მცირე რაოდენობით დაღვრა/გაჟონვის შემთხვევაში: შეაგროვეთ გაჟონილი მასალა მშთანთქმელი ნივთიერებით, მშრალი ქვიშით, მიწით ან ნახშირით, შემდეგ მოათავსეთ ქიმიური ნარჩენების კონტეინერში, ისე რომ არ მოხდეს კანალიზაციაში ან სადრენაჟე თხრილში ჩაიღვარა, ან შეღწევა.

მასშტაბური დაღვრის შემთხვევაში: შეაგროვეთ ამოტუმბვით და გადაიტანეთ ჰერმეტიკულ მეტალის კონტეინერში. დაღვრილი პროდუქტის შეწოვა მოახდინეთ მშრალი ქვიშით ან ნახშირით, და არ დაუშვათ საკანალიზაციო მილებში, წყალსატევებში ან დაბლობ ადგილებში მოხვედრა, და თავიდან აიცილეთ ნიადაგში შეღწევა. დაღვრილი პროდუქტის ნარჩენები შეაგროვეთ ნახშირის მოყრით ან მშთანთქმელი მასალებით. დაბინძურებული მშთანთქმელები უნდა განადგურდეს შესაბამისი ზომების დაცვით. იმუშავეთ ქარის მიმართულების საწინააღმდეგო მხრიდან.

შენიშვნა ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად:

ნარჩენების უტილიზაცია განადგურების მეთოდით, მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს საკანალიზაციო სისტემის, მიწის, წყლის რესურსების ეკოლოგიურ სტანდარტებს.

7. გამოყენება და შენახვა

ზოგადი მოთხოვნები: გამოყენებისა და შენახვის ადგილზე აკრძალულია საკვების მიღება, დაღვრა ან მოწევა. შეინახეთ ღია ცეცხლის, ცხელი ზედაპირებისა და აალების წყაროებისგან შორს.

უსაფრთხო გამოყენების რჩევები:

სამუშაო ადგილზე უზრუნველყავით კარგი განთავსება/გაწოვა. მოერიდეთ კანზე, თვალებში და ტანსაცმელზე მოხვედრას. მოარიდეთ აალების წყაროებს. სამუშაო ზონაში აკრძალულია საკვების მიღება, დაღვრა ან მოწევა. არ შეისუნთქოთ ორთქლი / ნისლი. თუ სუნმა შეგაწუხებთ, შეწყვიტეთ მუშაობა და მიიღეთ „პირველადი დახმარების ზომები“, რომელიც მითითებულია პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში.

მუშაობის დროს ზედმეტი სუნისგან დასაცავად, შეიძლება რეკომენდებული იყოს დამცავი აღჭურვილობის, მაგალითად, რესპირატორის გამოყენება.

უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით:

წყლის დამაბინძურებელი პროდუქტების შენახვისას დაიცავით ყველა ადგილობრივი და ეროვნული რეგულაცია. არ შეინახოთ დამუხანგავ და მჟავა მასალებთან ერთად. შეინახეთ გრილ, მშრალ პირობებში მჭიდროდ დახურულ ტარაში დაიცავით სითბოსა და პირდაპირი მზის სხივებისგან.

8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

კონტროლის პარამეტრები:

ეს პროდუქტი შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

პროდუქტი არ შეიცავს კრიტიკული მაჩვენებლების მქონე ნივთიერებების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომელთა მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სამუშაო ადგილზე.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

საცნობარო ნომერი 16-2140(2)

გამოცემის თარიღი: 25.07.2016

გვერდი 6/9

ხელახლა გამოცემის თარიღი: 24.08.2016

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

ექსპოზიციის (ზემოქმედების) კონტროლი:

შეინახეთ საკვები პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების სურსათისაგან მოშორებით. დაუყონებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. მოერიდეთ კანზე და თვალებში მოხვედრას. შესვენების დროს და მუშაობის დასრულებისთანავე გულდასმით დაიბანეთ ხელები.

- ხელების დაცვა: დამცავი ხელთათმანი. ხელთათმანის მასალა უნდა იყოს წყალგაუმტარი და პროდუქტის /ნივთიერების / პრეპარატის მიმართ მედეგი.
- თვალების დაცვა: დამცავი სათვალე. სახის ფარი და ა.შ.
- კანის და სხეულის დამცავი სპეცტანსაცმელი: დამცავი ჩექმები. დამცავი წინსაფარი.

ზემოქმედების ზღვრული მაჩვენებლები:

ACGIH (ამერიკის სამთავრობო სამრეწველონ ჰიგიენისტთა კონფერენცია): არ არის სიაში შეტანილი

OSHA (პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ადმინისტრაცია): არ არის სიაში შეტანილი

9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

ინფორმაცია ძირითადი ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესახებ:

- ა) გარეგანი სახე: სითხე, უფეროდან მოყვითალომდე
- ბ) სუნი: ცვილის სუნი
- გ) სუნის შეგრძნების ზღვარი: არ არის
- დ) pH (pH მეტრი): 5.6
- ე) ლღობის ტემპერატურა/გაყინვის ტემპერატურა: 18-22°C
- ვ) დუდილის საწყისი ტემპერატურა და დუდილის დიაპაზონი (OECD 103): 110-120°C (2 mmHg)
- ზ) აალების/ფეთქების ტემპერატურა (პენსკი-მარტენსი): 91°C
- თ) აორთქლების სიჩქარე: მონაცემი არ არის
- ი) აალებადობა (მყარი, გაზი): მონაცემი არ არის
- კ) აალებადობის ან აფეთქების ზედა/ქვედა ზღვარი: მონაცემი არ არის
- ლ) ორთქლის წნევა (განგარიშებული, ანტუანის განტოლება): 1.428×10^{-2} mmHg
- მ) ორთქლის სიმკვრივე: არ არის საჭირო ავტორიზაციისთვის
- ნ) ფარდობითი სიმკვრივე (პიკნომეტრის მეთოდი): 0.857 g/cm³ (25°C)
- ო) ხსნადობა (OECD 105): 25.48 გ/ლ
- პ) განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი/ წყალი (OECD 107): არ არის ტესტირებული
- ჟ) თვითაალების ტემპერატურა: არ არის ტესტირებული
- რ) დაშლის ტემპერატურა: მონაცემი არ არის
- ს) სიბლანტე: მონაცემი არ არის
- ტ) ფეთქებადი თვისებები: არ არის ფეთქებადი (შეფასება)
- უ) ჟანგვითი თვისებები: არ იჟანგება (შეფასება)

10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

რეაქტიულობა:

შეუძლია ჟანგბადთან და ძლიერ დამჟანგავ აგენტებთან, როგორცაა ქლორატები, ზეჟანგები და ა.შ. ურთიერთქმედება. ასარიდებელი გარემო პირობები: სითბო, ალი და ნაპერწკლები. ასარიდებელი მასალები: დამჟანგავი აგენტები.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

საცნობარო ნომერი 16-2140(2)

გამოცემის თარიღი: 25.07.2016

გვერდი 7/9

ხელახლა გამოცემის თარიღი: 24.08.2016

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

ქიმიური მდგრადობა:

პროდუქტი ითვება სტაბილურად ნორმალური გარემო პირობებში და გათვალისწინებული ტემპერატურის და წნევის პირობებში შენახვის და გამოყენების დროს.

ასარიდებელი გარემოებები:

თავიდან აიცილეთ გადაჭარბებული სითბო, ნაპერწკლები ან ღია ცეცხლი.

შეუთავსებელი მასალები:

დამჟანგავი აგენტები.

საშიში დაშლის პროდუქტები:

შეუძლია ჟანგბადთან და ძლიერ დამჟანგავ აგენტებთან, როგორცაა ქლორატები, ზეჟანგები და ა.შ. ურთიერთქმედება.

11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ:

		მონაცემი	შენიშვნა
მწვავე ტოქსიკურობა:	პერორალური LD ₅₀	>2,500მგ/კგ (ვირთაგვები)	კომპანიის მონაცემებით
		>1,075მგ/კგ (მწყერები)	იგივე
	დერმალური LD ₅₀	>1,000მგ/კგ (ვირთაგვები)	იგივე
	ინჰალაცია (აირი)	მონაცემი არ არის	-----
	ინჰალაცია (ორთქლი)	38მგ/ლ (ვირთაგვები)	-----
	ინჰალაცია (ნისლი) LD ₅₀	>2.73მგ/კგ (ვირთაგვები)	კომპანიის მონაცემებით
კანის კოროზია/გაღიზიანება:		კანის მსუბუქიდან ზომიერამდე გამაღიზიანებელი (კურდღელი)	იგივე
თვალის სერიოზული დაზიანება/გაღიზიანება:		კონიუქტივის მსუბუქიდან ზომიერამდე გამაღიზიანებელი (კურდღელი)	იგივე
რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია:		კაზე შეხებისას არ იწვევს მასენსიბილიზებელ მოქმედებას (ზღვის გოჭები)	იგივე
სასქესო უჯრედების მუტაგენურობა:		ეიმსის ტესტი: უარყოფითი	იგივე
კანცეროგენული მოქმედება:	IARC	არ არის სიაში	-----
	NTP	არ არის სიაში	-----
	EPA	არ არის სიაში	-----
	ACGIH	არ არის სიაში	-----
	NITE	არ არის სიაში	-----
რეპროდუქციული ტოქსიკურობა:		მონაცემი არ არის	-----
სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა (ერთჯერადი ექსპოზიცია):		მონაცემი არ არის	-----
სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა (განმეორებითი ექსპოზიცია):		მონაცემი არ არის	-----
ასპირაციის საშიშროება:		მონაცემი არ არის	-----

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

12. ეკოლოგიური ინფორმაცია

ტოქსიკურობა:

	მონაცემი	შენიშვნა
წყლის გარემოს მიმართ მწვავე საშიშროება	EC ₅₀ =2.8 მგ/ლ (48სთ. დაფნიდები) NOEC=1.3 მგ/ლ EC=0.3 მგ/ლ-48სთ (დაფნია)	კომპანიის მონაცემებით
	LC ₅₀ >120 მგ/ლ (96სთ. ცისარტყელა კალმახი) NOEC>43.2მგ wმ*/ლ	იგივე
წყლის გარემოს მიმართ ქრონიკული საშიშროება	მონაცემი არ არის	-----

*weight maintenance – წონის შენარჩუნება

მდგრადობა და დეგრადაცია:

პროდუქტი ადვილად არ განიცდის ბიოდეგრადაციას.

13. განკარგვა/უტილიზაცია

ნარჩენების მართვის მეთოდები:

ეს პროდუქტი გამოიყენეთ მხოლოდ დანიშნულებისამებრ. არ დაუშვათ პროდუქტს კანალიზაციის სისტემაში მოხვედრა. პროდუქტის გატანის ან უტილიზაციის დროს, აუცილებელია საშიში ნარჩენების მიმართ კრიტერიუმების დაკმაყოფილება, როგორც ეს განსაზღვრულია აშშ-ს EPA ან სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი რეგულაციებით. თუ პროდუქტი კლასიფიცირდება როგორც საშიში ნარჩენი, ფედერალური კანონი მოითხოვს უტილიზაციისთვის საშიში ნარჩენების ლიცენზირებულ ობიექტში განთავსებას. დაბინძურებული ტარა განკარგეთ პროდუქტის მსგავსად.

14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

UN (გაერთიანებული ერები) ნომერი

3082 (ADR/RID, IMDG, ICAO)

გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:

სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, N.O.S.

შეფუთვის ჯგუფი:

III (ADR/RID, IMDG, ICAO)

უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:

ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, ზღვის დამაბინძურებელი (IMDG).

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/კანონმდებლობა

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

საცნობარო ნომერი 16-2140(2)

გამოცემის თარიღი: 25.07.2016

გვერდი 9/9

ხელახლა გამოცემის თარიღი: 24.08.2016

პროდუქტის დასახელება: შინ-ეტსუ მდ სტტ (SHIN-ETSU MD CTT)

REACH1907/2006, CLP 1272/2008.

ქიმიური უსაფრთხოების შეფასება:

ქიმიური უსაფრთხოების შეფასება (EC) No 1907/2006 რეგულაციის მე-14 მუხლის შესაბამისად არ არის საჭირო. ეს ნივთიერებები რეგისტრირებულია REACH-ის 1907/2006 რეგულაციის (EC) მე-15 მუხლის შესაბამისად.

16: დამატებითი ინფორმაცია

ეს მონაცემები ეყრდნობა ჩვენს ამჟამინდელ ცოდნას, მათ შორის REACH-ის შესაბამისად რეგისტრირებული პროდუქტების მონაცემთა ბაზას. მიუხედავად ამისა, ეს ვერ იქნება პროდუქტის რაიმე სპეციფიკური მახასიათებლების გარანტია და ვერ უზრუნველყოფს იურიდიული ძალის მქონე სახელშეკრულებო დამოკიდებულებას.

ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი წარმოდგენილია მხოლოდ თქვენი ინფორმირებულობის, განხილვისა და შეფასების მიზნით. ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში აღწერილი მონაცემები, შედგება ლიტერატურული მონაცემებისგან, ჩვენი გამოკვლევების მონაცემებისგან და ანალოგიურ დასკვნებისგან, რომელიც ეყრდნობა მსგავსი ქიმიური ნივთიერებებისა და პროდუქტების მონაცემებს. „შინ-ეტსუ ქემიკალ კო ლტდ“ არ იძლევა არანაირ პირდაპირ, ან ირიბ გარანტიას და არ იღებს პასუხისმგებლობას დოკუმენტში არსებული მონაცემების სიზუსტესა და სისრულეზე. ნებისმიერი ნივთიერების/მასალის შესაბამისობის საბოლოო განსაზღვრა მხოლოდ მომხმარებლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.